

## „სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსახურება“

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებულის მსმენელი მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერთიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 12 კვირა, (182 საათი)

კვირული საათობრივი დატვირთვა - კვირული დატვირთვა 11კვირის განმავლობაში შეადგენს 15სთ-ს, ხოლო მე12 კვირაში 17სთს.

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი პირი, რომელსაც შეეძლება სასტუმროში დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა, სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების და ანგარიშსწორების პროცედურების უზრუნველყოფა, სტუმრის გაწერისა და ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა; ცვლის მოვალეობების ეფექტურად შესრულება, ცვლის გადაბარება და აუდიტის წარმოება.

პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების თეორიული საფუძვლების განსაზღვრას, დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფას, სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურებს, სტუმართან ანგარიშსწორების პროცედურებს, სტუმრის გაწერის და ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფას; ცვლის მოვალეობების ეფექტურად შესრულებას, ცვლის გადაბარება და აუდიტის წარმოებას.

სწავლის შედეგები:

1. სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების თეორიული საფუძვლების განსაზღვრა;
2. დაჯავშნის მომსახურების უზრუნველყოფა;
3. სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა;
4. სტუმართან ანგარიშსწორების პროცედურების უზრუნველყოფა;
5. სტუმრის გაწერის უზრუნველყოფა;
6. ღამის აუდიტის პროცედურების უზრუნველყოფა;
7. ცვლის მოვალეობების თეორიული ასპექტების განსაზღვრა;
8. ცვლის მოვალეობების შესრულება;
9. ცვლის გადაბარების განხორციელება.